

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №18

ქ.თბილისი

22.07.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას“ დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ნანა გაფრინდაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ელენე ჯიბლაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ნინო ღაღანიძე;
ნატო გენგიური;
თამარ გაიხარაშვილი;
გოდერძი ბუჩაშვილი;
მანანა მოისწრაფიშვილი;
ნინო ჯოჯუა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ლაშა კანდელაკიშვილი;
მაია ხურცილავა.

შპს - გურამ თავართქილამის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
გიორგი მათიაშვილი;
ვაჟა ხუჭუა.

სსიპ - ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის წარმომადგენლები:
რუსუდან ლორთქიფანიძე;
ტატიანა ჯავახიშვილი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
კონსტანტინე სირბილაძე.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ლელა თავდგირიძე;
ლელა თურმანიძე.

შპს - სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ივანე ბალახაშვილი;
მადონა გოგობერიშვილი;
ეკატერინე სუბიშვილი.

შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ლალი ხვედელიძე.

სხდომა დაიწყო 15:25 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. თავჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი მაჩაბელი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის კინოტელეოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის - ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი) - აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

რ. მელა

- 9.სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურებისა და ტერმინალების გადამტვირთავი აღჭურვილობის ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს - სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- 11.შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- 12.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- 13.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
- 14.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა ადა აცილება არ ყოფილა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და დაწესებულების წარმომადგენლებს, სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებათა თვითშეფასების კითხვარებსა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და ასევე, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა და საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა აკრედიტაციის ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა, მან აღნიშნა რომ აღნიშნული პროგრამა შეამოწმა ექსპერტმა მაია გონაშვილმა, რომელიც არ ესწრებოდა სხდომას, თავად იყო ჯგუფის ხელმძღვანელი და შეძლებდა კითხვების შემთხვევაში პასუხის გაცემას, მან წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია, რომ სასწავლო კურსის ზოგიერთ სილაბუსში ძირითადი და/ან დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში დაემატოს მსოფლიოში აღიარებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოები (მაგ. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯი ორგანიზაციული ქცევა)
 - მიზანშეწონილია იმ საგნებს რომლის შესწავლაც შესაძლებელია წინაპირობების გარეშე არ ქონდეს მითითებული წინაპირობები (მაგ. მაკროეკონომიკა მენეჯმენტის საფუძვლების წინაპირობად)
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ საკმაოდ საინტერესო ვიზიტი იყო, გაიზიარეს ექსპერტთა რეკომენდაციები და გადაამუშავეს შესაბამისი სილაბუსები. ექსპერტმა დაადასტურა რომ სილაბუსები ადგილზე გასწორდა.

საბჭოს წევრი ნანა გაფრინდაშვილი დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება პროგრამაზე. მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ იგეგმებოდა 40-50 სტუდენტის მიღება.

2. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა აკრედიტაციის ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა, მან აღნიშნა რომ აღნიშნული პროგრამა შეამოწმა ექსპერტმა მაია გონაშვილმა, რომელიც არ ესწრებოდა სხდომას, თავად იყო ჯგუფის ხელმძღვანელი და შეძლებდა კითხვების შემთხვევაში პასუხის გაცემას, მან წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასურველია ზოგიერთი საგნის თემატიკის დახვეწა და უფრო დეტალური აღწერა, რომ არ მოხდეს თემების მიხედვით საკითხების გამეორება (მაგ.: ტურიზმის ეკონომიკაში თემა 4: საინფორმაციო ტექნოლოგიები და თემა 10. ფასწარმოქმნა ტურიზმში, ტურიზმის მარკეტინგში, თემა 8. ფასწარმოქმნა ტურისტული მომსახურების ბაზარზე; ტურიზმის ბიზნესის სილაბუსში თემა 11: მარკეტინგის კონცეფცია ტურიზმის ბიზნესში, სასურველია შეიცვალოს, რადგან სტუდენტი ცალკე სწავლობს მარკეტინგის საფუძვლებს და ცალკე ტურიზმის მარკეტინგს);
 - სასურველია უფრო დაკონკრეტდეს სილაბუსებში მითითებული ელექტრონული რესურსები (მაგ. <http://gnta.ge/?lang=ge>);
 - სასურველია მარკეტინგის საფუძვლების ძირითადი ლიტერატურიდან მარკეტინგის მენეჯმენტის სახელმძღვანელოს დამატებითში გადატანა, რადგან ის უფრო შეეფერება სამაგისტრო დონეს ვიდრე საბაკალავროს;
 - სასურველია, რომ სასწავლო კურსის ზოგიერთ სილაბუსში ძირითადი და/ან დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში დაემატოს მსოფლიოში აღიარებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოები (მაგ. სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯი ორგანიზაციული ქცევა)
 - მიზანშეწონილია იმ საგნებს რომლის შესწავლაც შესაძლებელია წინაპირობების გარეშე არ ქონდეს მითითებული წინაპირობები (მაგ. მაკროეკონომიკა მენეჯმენტის საფუძვლების წინაპირობად)
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ საკმაოდ საინტერესო ვიზიტი იყო, გაიზიარეს ექსპერტთა რეკომენდაციები და გადაამუშავეს შესაბამისი სილაბუსები, ასევე გასწორდა და მითითებულ იქნა შესაბამისი ლინკი.

ნანა გაფრინდაშვილი დაინტერესდა დაწესებულების სამეცნიერო საქმიანობითა და შესაბამისი რესურსებით. მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გაწერილი ქონდა შესაბამისი რესურსის გაუმჯობესება და ამისათვის გაფორმებული იყო შესაბამისი მემორანდუმები.

რ. მელიქი

3.შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა აკრედიტაციის ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამა ძალიან მოწესრიგებული იყო და ის რაც დოკუმენტებში იყო აღნიშნული, რეალურად თუ ასე განხორციელდებოდა ნამდვილად წარმატებული პროგრამა იქნებოდა. პროგრამის მიმართ მოწონება გამოხატა საბჭოს წევრებმა ირაკლი მაჩაბელმა, ნანა გაფრინდაშვილმა და მაია ჩიხლაძემ. მაია ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას კარგად ჰქონდა გააზრებული პროგრამა, პროგრამა უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი ადამიანური რესურსითა და მემორანდუმებით.

მაია ადვაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ადრე ახორციელებდა ჯანდაცვის მიმართულების პროგრამას და გარკვეული ვალდებულება ჰქონდათ სტუდენტების წინაშე და ერთ-ერთი მიზანი პროგრამის ამოქმედების ეს იყო.

4.შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის კინოტელეოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს წევრის თხოვნითა და თავმჯდომარის თანხმობით, გამომდინარე იქედან, რომ საბჭო საქმის დეტალებს ზედმიწევნით იცნობდა, გადაწყდა, რომ ექსპერტს მხოლოდ იმ რეკომენდაციებზე ესაუბრა, რომელთა გათვალისწინებაც დაწესებულების მხრიდან არ მომხდარა.

ექსპერტმა ნინო ღაღანიძემ საბჭოს განუცხადა, რომ დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. ერთადერთი, რისი აღნიშვნაც ექსპერტმა საჭიროდ ჩათვალა, მიმდინარე სასწავლო წელს პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტების არმილების ფაქტი იყო. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული პროგრამის პოტენციურ სტუდენტებად ვაჟები მოიაზრებიან და ვინაიდან პროფესიულ სასწავლებელში სწავლა სტუდენტს სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან არ ათავისუფლებს, სამწუხაროდ, პროგრამაზე მიღების პროცესი დაბრკოლდა.

5.ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

აკრედიტაციის ექსპერტმა, ნატო გენგიურმა მონიტორინგის შედეგებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ ყველა მიცემული რეკომენდაცია გაითვალისწინა. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტს პოლონეთის უნივერსიტეტთან მიმოწერის დამადასტურებელი წერილები წარმოუდგინა.

6.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის - ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი) - აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ექსპერტმა, გოდერძი ბუჩაშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა მონიტორინგის ჯგუფის ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა და საბჭოს მიერ წაყენებული მოთხოვნებიც ზედმიწევნით შეასრულა.

7.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

გოდერძი ბუჩაშვილის განმარტებით, უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებები განახორციელა. მითითებისამებრ, დაწესებულებამ სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტზე ბრძანებასთან შესაბამისობაში მოიყვანა. ექსპერტმა საბჭოს წევრის, ზაზა მარუაშვილის პასუხად დაამატა, რომ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მექანიკური შეცდომაც გასწორდა, რომელიც ცენტრის წარმომადგენლის, თამარ აფრასიძის განმარტებით, რეკომენდაციებში არ შედიოდა.

8.სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში წინა ვიზიტისას ჯგუფის შემადგენლობაში იყო. მისივე დასტურით, ბოლოს განხორციელებული ვიზიტით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მიცემული ყველა რეკომენდაცია პირნათლად იქნა შესრულებული. შედეგად, თავმჯდომარის თხოვნით, ექსპერტმა რეკომენდაციების დეტალური განხილვისგან თავი შეიკავა.

ექსპერტის ერთადერთი შენიშვნა დასკვნაში მითითებულ ხარვეზს შეეხო, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის მიერ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ასახვა(წარმოდგენა) არ მომხდარა. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, დაწესებულებაში ვიზიტისას მან გამოითხოვა შესაბამისი დოკუმენტები და გამოკითხვის ანკეტაც, რის საფუძველზეც შეეძლო გამოკითხვის ჩატარების ფაქტის სინამდვილე

მ. ბუა

დაედასტურებინა. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დამსაქმებელი აღნიშნული პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების მიმართ ინტერესს ავლენდა.

საბჭოს წევრი, ზაზა მარუაშვილი მედიცინის ზოგადი საფუძვლების სავალდებულო კურსის სამაგისტრო საფეხურთან შესაბამისობის საკითხით დაინტერესდა. ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად სამედიცინო განათლება აუცილებელ წინაპირობად არ იყო მიჩნეული, მედიცინის ზოგადი საფუძვლების კურსის გავლა სამედიცინო განათლების არმქონე სტუდენტებს მედიცინის საფუძვლების შესახებ წარმოდგენას შეუქმნიდა. დასასრულს ექსპერტმა დაამატა, რომ კურსს სავალდებულო ხასიათი აქვს და ახალი სილაბუსით მისი მოცულობაც დაკონკრეტდა.

საბჭოს წევრმა, ექსპერტის პასუხად აღნიშნა, რომ თუ კურსი სამედიცინო გამოცდილების არმქონე სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი, სწორედ ამ მიზეზით, სავალდებულოს ნაცვლად არჩევითის სტატუსი უნდა მიანიჭებოდა.

თავმჯდომარემ მხარეებს მადლობა გადაუხადა და დაწესებულებებთან ერთად, ექსპერტების მიერ საბჭოს მხრიდან მიცემული შენიშვნების გათვალისწინების ფაქტი, ზოგადად, დადებითად მიიჩნია.

9.სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ნავსადგურებისა და ტერმინალების გადამტვირთავი აღჭურვილობის ექსპლუატაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

აკრედიტაციის ექსპერტმა, მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის წინა ვიზიტის შედეგებზე დაყრდნობით გაცემული რეკომენდაციები მხარემ გაითვალისწინა. შენიშვნა ბიბლიოთეკაში განთავსებული სახელმძღვანელოების რესურსის სილაბუსთან შესაბამისობის საკითხს შეეხო. პრობლემა პირველი ვიზიტის შემდეგ გამოსწორდა, თუმცა მონიტორინგის ფარგლებში 2 სახელმძღვანელოს ადგილზე (ბიბლიოთეკაში) ნახვა ვერ მოხერხდა. ექსპერტმა განმარტა, რომ მიუხედავად ამისა, მონიტორინგის ჯგუფს ჰქონდა საშუალება აღნიშნული სახელმძღვანელოები ფიზიკურად, დამუშავების პროცესში ეხილათ.

10.შპს - სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

მსგავსად განვლილი საკითხებისა, ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულებული ნაწილის დეტალურად წარმოდგენისგან, საბჭოს მითითების გათვალისწინებით, თავი შეიკავა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციასთან დაკავშირებული საბჭოზე გაწეული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა, თუმცა მისი ფორმულირება რამდენადმე განსხვავებული წესით მოხდა. ექსპერტის რეკომენდაციით, სასურველია გამოცდაზე შეფასებას დამატებით პირობად რეცენზენტის შეფასება დაედოს. ასევე, დამატებით შესწავლას საჭიროებენ სამაგისტრო ნაშრომის ბლოკის სილაბუსები, რომლებიც ტექნიკური ტიპის ხარვეზებს შეიცავს და ამდენად, სასწავლო გეგმას არ შეესაბამება. დაწესებულებას, აგრეთვე, მიცემული ჰქონდა რეკომენდაცია სწავლის შედეგებისა და ღირებულებების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებაში პირველი ვიზიტისას ბიზნესის ადმინისტრირების კურსის (რომელიც მარკეტინგისა და საერთაშორისო ბიზნესის წინაპირობით მე-3 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ისწავლებოდა) შინაარსში გამოვლენილი თემატური შეუსაბამოებები გასწორდა და საბჭოს სხდომამდე ერთი დღით ადრე იქნა წარმოდგენილი. ექსპერტმა ჯგუფიდან, მეორე ექსპერტმა დაამატა, რომ დაწესებულებამ ახალი შენიშვნებიც იგივე წარმატებით გაითვალისწინა - ცალკე გამოიყო რეცენზენტის შეფასების კომპონენტი, რამაც შეფასების მექანიზმი უფრო სრულყოფილი გახადა; ბიზნესის ადმინისტრირების კურსზე შინაარსობრივად დატვირთული და რთული თემები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი კურსის მოთხოვნებთან; ღირებულებების კომპონენტი, რომელიც განზოგადებული სახით იყო წარმოდგენილი და მაგისტრის საკვალიფიკაციო ჩარჩოს სცდებოდა, მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოვიდა. ცვლილებების შესახებ ექსპერტებს საბჭოს სხდომამდე ერთი დღით ადრე ეცნობათ.

რ. მელია

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა პირობებში განხორციელდა აღნიშნული ცვლილებები - ექსპერტის თანდასწრებით თუ მის გარეშე. ექსპერტების განმარტებით, ცვლილებები მათივე თანდასწრებით და მონაწილეობით განხორციელდა. პასუხად თავმჯდომარემ ექსპერტებს კანონმდებლობაზე მიუთითა, რის მიხედვითაც ექსპერტის თანდასწრებით განხორციელებული ცვლილება მოქმედად ვერ ჩაითვლება. თუმცა ექსპერტმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ საქმე უხეშ დარღვევასთან არ ჰქონიათ და მხოლოდ რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი გასწორდა - კერძოდ, შინაარსი შესაბამის კვალიფიკაციას დაექვემდებარა და რამდენიმე სიტყვა და ფრაზა მეტი სიზუსტით ჩაიწერა.

საბჭოს წევრი ზაზა მარუაშვილი უკანასკნელი ვიზიტის თარიღით დაინტერესდა და კითხვით ექსპერტებს მიმართა. ექსპერტმა ზუსტი თარიღი ვერ გაიხსენა და დახმარება ცენტრის თანამშრომელს, თამარ აფრასიძეს სთხოვა. ცენტრის თანამშრომელმა ვიზიტის თარიღთან დაკავშირებით ვარაუდი გამოთქვა, რომ ვიზიტი 9-10 ან 10-11 ივლისს განხორციელდა, თუმცა ბრძანებაში გადამოწმების ნებართვა ითხოვა. გაირკვა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი 15 ივლისს განხორციელდა.

საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა ფაქტის შესახებ უკმაყოფილება გამოთქვა და განმარტა, რომ საბჭო ვერ მიიღებს დოკუმენტს, რომელიც ვიზიტის დროს არ გასწორებულა.

დისკუსიაში დაწესებულების წარმომადგენელიც ჩაერთო, რომელმაც აღნიშნულ პრეცედენტთან მიმართებით დაწესებულების ბრალეულობაზეც მიუთითა, აღნიშნა რა, რომ დღის წესრიგზე თვალის მიდევნება ვერ მოხერხდა, რამაც არსებული გაურკვევლობა გამოიწვია.

საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა დაამატა, რომ მსგავსი ხარვეზების აღმოჩენა და გასწორება ერთწლიან პერიოდს არ საჭიროებდა და დაწესებულების განკარგულებაში ყოველივე ამისათვის საკმარისი დრო იყო. მან განმეორებით აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების კურსის პროგრამის მიზანთან შეუსაბამობის დადგენას ერთი წელი არ სჭირდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს სთხოვა გაეთვალისწინებინა ის ფაქტიც, რომ პროგრამას ერთი წლის განმავლობაში მოქმედი სტუდენტი არ ჰყოლია, რამაც თავის მხრივ განაპირობა აღნიშნული შეფერხება.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს თავის დროზე ავტორიზებული დაწესებულების სტატუსი სილაბუსების მოწესრიგების მოთხოვნით მიენიჭა. პასუხად ექსპერტმა დააზუსტა, რომ დაწესებულებას სილაბუსები არ ჰქონია წარმოდგენილი და მითითება სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებას გულისხმობდა. დავით კახნიაშვილი აღნიშნულს დაეთანხმა და განმარტა, რომ პრობლემა სწორედ ამაში მდგომარეობდა - სილაბუსები უნდა წარმოდგენილიყო და შესაბამისად, ზემოთხსენებული ხარვეზების გასწორების მოთხოვნაც დადგებოდა დღის წესრიგში.

11.შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ვინაიდან საკითხზე პასუხისმგებელი ექსპერტი საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი არ ყოფილა, ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ აფრასიძემ საბჭოს დასკვნის თავადვე წარმოდგენის ნებართვა სთხოვა. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო სხდომას დარგობრივი სპეციალისტი დასწრებოდა და პასუხები საბჭოს უშუალოდ მისგან მოესმინა. თავმჯდომარის განმარტებით, ვინაიდან დაწესებულებისთვის მიცემული 9 რეკომენდაციიდან მხოლოდ 2 იყო გათვალისწინებული, საბჭოს გაუჭირდებოდა ნდობა გამოეცხადებინა ცენტრის წარმომადგენლისთვის, რომელიც დარგობრივ საკითხებში არასათანადო კომპეტენციებს ფლობდა.

ცენტრის წარმომადგენლის ცნობით, დაწესებულებაში მონიტორინგის საფუძველი 3 რეკომენდაცია იყო. აღნიშნულს არ დაეთანხმა თავმჯდომარე, რომელმაც დასკვნის ტექსტზე მითითებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციების რაოდენობა 9-ს უდრიდა. თამარ აფრასიძემ დააზუსტა, რომ დასკვნაში 10 რეკომენდაცია იყო მითითებული, თუმცა ამათგან უშუალოდ მონიტორინგის საფუძველი 3 იყო. 3 რეკომენდაციიდან

დაწესებულების მიერ 2 იქნა გათვალისწინებული, დარჩენილთან დაკავშირებით კი მხარეს თავისი არგუმენტი გააჩნდა.

თავმჯდომარემ, ირაკლი მაჩაბელმა ცენტრის წარმომადგენელს ჰკითხა, ეთანხმებოდა თუ არა დაწესებულების არგუმენტებს. თამარ აფრასიმემ აღნიშნა, რომ ექსპერტთან ერთობლივი მსჯელობის შედეგად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტი საკმაოდ დამაჯერებლად მიიჩნია - როგორც მხარე აღნიშნავდა, მეთოდები გზამკვლევისა და მარეგულირებელ დოკუმენტში დეტალურად იყო გაწერილი, რის გამოც მათი სილაბუსში ასახვა სავალდებულოდ აღარ მიიჩნიეს. როგორც დასკვნაში იყო ასახული, ინფორმაცია, გარდა იმისა, რომ ელექტრონულადაც იყო ხელმისაწვდომი, სტუდენტებს გზამკვლევების სახითაც მიეწოდებოდა.

თამარ აფრასიმემ კიდევ ერთი არგათვალისწინებული რეკომენდაციის შესახებ აღნიშნა, რომელიც სწავლის შედეგების ნაწილის დახვეწას გულისხმობდა. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

თავმჯდომარემ ცენტრის წარმომადგენელს დასკვნის ტექსტის კითხვა შეაწყვეტინა და უკმაყოფილოდ აღნიშნა, რომ საბჭო სპეციალისტის კვალიფიციურ დასკვნას საჭიროებდა. საბჭოს წევრმა, ნანა გაფრინდაშვილმა დაამატა, რომ საკითხი ვიწრო და სპეციფიკური ხასიათის იყო, რის გამოც საბჭო უშუალოდ ექსპერტის დასკვნას საჭიროებდა.

თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით, რომ საკითხი დამატებითი განხილვისთვის პარასკევისთვის გადადებულიყო. თავმჯდომარემ უარი თქვა დაწესებულების მხარის განმარტებების მოსმენაზე და განმარტა, რომ საბჭო საწინააღმდეგო პოზიციის მოსმენით იყო დაინტერესებული. წარმომადგენელმა, რომელმაც თავი დარგის კარგ სპეციალისტად წარმოადგინა, საბჭოს მოახსენა, რომ მხარე ექსპერტთა დასკვნას სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ საკითხში არ ეთანხმებოდა, ასევე, უკმაყოფილებას გამოთქვამდა დასკვნაში მითითებულ არასწორ გამონათქვამთან დაკავშირებით. რომლის შინაარსიც ტექსტის სხვადასხვა ადგილას განსხვავდებოდა. მხარე ეთანხმებოდა საბჭოს მიერ გაჟღერებულ 2 რეკომენდაციას, რომელიც კურსის წინაპირობების საკითხს შეეხებოდა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელ მხარეს ხელახლა განუმარტა, რომ მიუხედავად მათი არგუმენტების ლოგიკურობისა და დამაჯერებლობისა, საბჭო ერთგვარად მოსამართლის როლს ითავსებდა და შესაბამისად, გადაწყვეტილებას მხოლოდ ერთი მხარის შეხედულებებზე დაყრდნობით ვერ მიიღებდა.

თავმჯდომარის პოზიციას დაეთანხმა საბჭოს წევრი, ნანა გაფრინდაშვილიც, რომელმაც წარმომადგენლებს საბჭოს გადადების გამო შექმნილი დისკომფორტისთვის ბოდიში მოუხადა. ნანა გაფრინდაშვილის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მხარე დამაჯერებლად მსჯელობდა, ექსპერტის არგუმენტებს შეეძლო საბჭოს პოზიციის ცვლილება გამოეწვია. აღნიშნული მიზეზის გამო, საბჭოს წევრმა მიმდინარე სხდომაზე გადაწყვეტილების მიღება ალოგიკურ ნაბიჯად მიიჩნია. პოზიციას საბჭოს დანარჩენი წევრებიც დაეთანხმნენ.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ იგი თავად ნამყოფი იყო აღნიშნულ სასწავლებელში და დადებითად იყო მისადმი განწყობილი, მაგრამ როცა ექსპერტის მიერ დასკვნაში 9-10 რეკომენდაცია არის წარმოდგენილი, რომელთაგან ნაწილი გათვალისწინებული არ არის, მხარე კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს, საკითხი სპეციალისტის დადასტურებას საჭიროებს. ამ მიზეზით, დავით კახნიაშვილიც დაეთანხმა საკითხის განსახილველად გადადებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მის გადაწყვეტილებას სრულად იზიარებდა. თუმცა, დასძინა, რომ ექსპერტის დასკვნას მაინც არ ეთანხმებოდა და მის კვალიფიციურობაში ეჭვი შეჰქონდა. საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ წარმომადგენელს შენიშვნა მისცა, ექსპერტის თანდასწრების გარეშე მსგავსი შეფასებებისგან თავი შეეკავებინა. წარმომადგენელმა კი პასუხად დაამატა, რომ ექსპერტი მისი ყოფილი სტუდენტი იყო და კარგად იცნობდა, როგორც წარმატებულ და დადებით პიროვნებას, თუმცა მის დასკვნას მაინც არ ეთანხმებოდა.

რ. პასუხი

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საუკეთესო შემთხვევაში, საკითხის განხილვა მეცნიერული პაექრობის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ასევე, გაიხსენა პრეცედენტი, რომცა მსგავსი არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე, საბჭომ გადაწყვეტილებისას დაწესებულების მხარე დაიჭირა.

დაწესებულების წარმომადგენელი ექსპერტის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზით დაინტერესდა. ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტი არ იყო არც თბილისში და არც ბათუმში და დღის წესრიგში საბჭოს სხდომის ჩატარების თარიღიც ვერ გაითვალისწინა. ყველაფრის მიუხედავად, ექსპერტი დასკვნას დადებითად მიიჩნევდა და დასკვნის წარმოდგენა ცენტრის წარმომადგენელს ანდო.

თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ პარასკევს ექსპერტი სხდომას დაესწრებოდა და საკითხი გადაწყდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა სადაო საკითხები მოკლედ გაიმეორა და იკითხა, მომდევნო სხდომაზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება ექნებოდა თუ არა. თავმჯდომარე დაეთანხმა, აღნიშნა, რომ აზრის გამოთქმის საშუალება ყველას ექნებოდა და დასძინა, რომ მხარეს ექსპერტის წინაშე უნდა დაემტკიცებინა, რომ მის მიერ წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტაციისთვის აუცილებელ ყველა პირობას აკმაყოფილებდა.

12. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

13. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

14. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

თავმჯდომარემ გაკვირვება გამოხატა ფაქტის წინაშე, რომ სხდომას არც ექსპერტი და არც დაწესებულების წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ.

ცენტრის წარმომადგენელმა და აკრედიტაციის სამმართველოს ხელმძღვანელმა, გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ იგი ვიზიტზე ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდა და შეეძლო საბჭოსთვის დასკვნა წარმოედგინა. მანვე დასძინა, რომ შედეგები უარყოფითი არ ყოფილა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლობის გარეშე საკითხის განხილვას აზრი არ ექნებოდა, ამიტომ აღნიშნული საკითხიც შემდეგი სხდომისთვის უნდა გადადებულიყო. საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა აზრი გამოთქვა, საბჭოს აღნიშნული საკითხი მაინც განეხილა, თუკი საკითხთან დაკავშირებით არანაირი სადაო ნიუანსი დასკვნაში არ ასახულა, ვინაიდან, როგორც თავად განაცხადა, გიორგი ცხვედიანის საქმისადმი დამოკიდებულებას საბჭო კარგად იცნობდა.

საკითხის განხილვის შესახებ გამოთქმულ აზრს არ დაეთანხმა თავმჯდომარე და ნანა გაფრინდაშვილი. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პროგრამის შინაარსობრივი მხარე გამოასწორა, რეკომენდაციებში გათვალისწინებული კიდეც ერთი საკითხის მოგვარებაც დაიწყო, რომელიც ლაბორატორიის მოწესრიგებას ეხებოდა, თუმცა დასრულება ვერ მოასწორო, რადგან ინვენტარი ჯერჯერობით საწყობში იყო განთავსებული. გიორგი ცხვედიანის თქმით, დანარჩენ საკითხებში დაწესებულება ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

მიუხედავად ცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციისა, საბჭოს წევრის, ნანა გაფრინდაშვილის აზრით, სტანდარტული პროცედურა არ უნდა დარღვეულიყო და საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხილულიყო, როცა საბჭოზე უნივერსიტეტიც იქნებოდა წარმოდგენილი. მისივე თქმით,

საკითხის განხილვას სამივე მხარე უნდა დასწრებოდა. შესაბამისად, ნანა გაფრინდაშვილი საკითხის განხილვის გადადებას უჭერდა მხარს.

საბჭომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან დაკავშირებული 3 საკითხის განხილვის გადადებას კენჭი უყარა და გადადების შესახებ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო.

17:25 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლა 17:30 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვისას გამოვლენილ გარემოებებზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ იყო დარღვეული, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამებს შეუნარჩურდათ აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 17:35 საათზე სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე

ირაკლი მაჩაბელი



მდივანი

მაია ჩიხლაძე

